გაზეთი ღირს:

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

პარასკევს, 21 ფერელის.

2-რე ტფილისის გიმნაზიის შეგირდების შემწე საზოგადოების ღონისძიების გაძლიერებისათვის კრუჟოკში გამართული იქნება:

საცეკვაო საღამო ალლეგრით

დასაწყისი 9 საათზედ.

ქალის თუ კაცისათვის ფასი 1 მან.

ბილეთების სყიდვა შეიძლება თვით საზოგადოების წევრთაგან და კრუჟოკის შვეიცარისაგან სამოქალაქო წოდების პირთ შეუძლიანთ ფრაკებითა და შავის სერთუკებით იყვნენ და სამხედრო წოდებისანი-კი პოლეტებიანის სერთუკებით.

(3—1)

ტფილისი, 17 ფებერვალს

ავსტრიას ბედმა არგუნა და შინაურ საქმეთ გაუხადა ერთი რთული, მძიმე და მეტად შესანიშნავი საქმე. ეგ საქმე სხვა-და-სხვა გვარ-ტომობის ერის მოთავსებაა ერთსავე და იმავე სახელმწიფოში ისე, რომ არც გვარ-ტომობას ევნოს რამე და არც სახელმწიფოს ერთიანობასა. დღევანდლამდე გაცობრიობა თითქმის დარწმუნებულია, რომ, თუ ერთმა გვარ-ტომის ერმა მეორე არა ჰქლაპა, ერთობა, ერთიანობა სახელმწიფოსი შეუძლებელიაო. თუმცა ახალმა ისტორიამ ბევრი მაგალითები უჩვენა ქვეყანას ამისი წინააღმდეგი, მაგალითებრ, ჩრდილო ამერიკის შტატები, შვეიცარია, საცა სხვა-და-სხვა გვარ-ტომის ერნი ისე სამართლიანად და მშვიდობიანად ერთმანეთში მოთავსებული არიან, რომ ერთობა სახელმწიფოსი არამც თუ ჰკარგავს რასმეს, არამედ მტკიცედ და ფეხ-მაგრად ჰსდგას. იყო დრო, როცა სხვა-და-სხვაობა სარწმუნოებისა ქვეყანას ეგონა მოუთავსებელი სახელმწიფოს ერთობასთან. იყო დრო, როცა რწმენად ჰქონდათ მიღებული რომ თუ ერთსა და იმავე სახელმწიფოში სხვა-და-სხვა რჯულის მკვიდრნი არიან, ერთობა სახელმწიფოსი სიზმარიაო. ბევრი სისხლი დაანთხია კაცობრიობამ, ბევრმა სახელმწიფომ შეალია თვისი დრო, თვისი სიმდიდრე, თვისი ღონე ამ ცდომილებას: ისპანია, ერთხელ განთქმული და ზარი ევროპისა, თითქმის მიწასთან გასწორდა ამის გამო და მას აქედ ვეღარ გამომდგარა, საფრანგეთსაც კინაღამ იგივე არ დაემართა. ხოლო სახელოვანმა რეფორმაციამ და მისდა მომდევარმა დრომ თვალ-საჩინოდ დაანახვა ქვეყანას, რომ სხვა-და-სხვაობა სარწმუნოებისა სრულად არაფერს უშლის ერთობას და ძლიერებას სახელმწიფოისას. გამარჯვება რეფორმაციისა სხვათა შორის ამ ცდომილების დამარცხებაც იყო. რომ სხვა-და-სხვაობა სარწმუნოებისა მართალადა არ უშლის სახელმწიფოს ერთობას და ძლიერებას ამისი მაგალითები მრავალი გვიდგა თვალ-წინ. რაკი გაცობრიობა ამას გადურჩა და დაიძრა გვარ-ტომობის დედა-აზრი, ჯერი გვარ-ტომობის საქმეზედ მისდგა.

ამისი რთული, მრავალ წვერი ნასკვი ყველაზედ მეტად აქ, ავსტრიაში გამოინასკვა და ავსტრიის დღევანდელი შინაური ტკივილი ეგ არის. ეგ ტკივილი მთელს აგებულებაში აქვს გამჯდარი ამ სახელმწიფოს და ისეთი ძნელი ტკივილიც არის, რომ შესაძლოა ავსტრია ან სულ თან გადაიტანოს, თუ რიგიანი წამალი ვერ მოუხერხდა, ან სულ გამოაცოცხლოს და როგორც ჯან-მრთელი, საღი სახელმწიფო, ახლად გადახალისებული, ფეხ და ფესვ მაგრად დააყენოს. გამოჰხსნის თუ არა ამ ძნელს ნასკვსა, ან როგორ გამოჰხსნის? ეს საკითხავი, რომელსაც ავსტრიამ გადაწყვეტილი, მოჭრილი პასუხი უნდა მისცეს დღესა, თუ ხვალ.

ავსტრიაში დღეს შინაურ, თუ საგარეო საქმეებში უპირატესობენ ორის სხვა-და-სხვა გვარ-ტომის ერი: იმიერ-ლეიტანიაში მადიარები და ამიერ-ლეიტანიაში ნემენცები. საცა მადიარები ბძანებლობენ, იქ არიან ნემენცებიც, რუმინებიც და უფრო სლავიანები და ერთსაც, მეორესაც და მესამესაც მადიარები ჰსჩაგვრენ. რასაკვირველია, ეგენიც ჰცდილობენ არ დაეჩაგვრინონ და არის ატეხილი ბრძოლა და გამათობა, რომელიც ხანდისხან ისე გაძლიერდება და გაფიცხდება ხოლმე, რომ საერთო სახელმწიფოს ჩაშველება უნდება. ამიერ-ლეიტანიაში ნემენცები ჰცდილობენ ბურთი და მოედანი მარტო დაისაკუთრონ, აქაც მოპირდაპირეთ ჰყავთ სლავიანები, რომელთ შორის ჩეხები, როგორც უფრო გამოღვიძებული, განათლებული და ცნობაში მოსული ერი, ძლიერ ებრძვის ნემენცობას და მაგ ბურთსა და მოედანს არამც თუ უთმობს, არამედ თავისაკენ ითლის სრულად და განუყოფელად. ჩეხები, როგორც უფრო ერთად თავ-მოყრილნი, გონებითად ძალიან წარმატებული ტომი სლავიანებისა, და ამასთანაც დაუღალავნი მებრძოლნი თავისის გვარ-ტომობის არსებობისათვის, მეტად აფიქრებს ავსტრიის ნემენცობას. ამას გარდა გალიციაში, ნამეტნავად აღმოსავლეთს გალიციაში, პოლშელები კათოლიკენი და რუსინები მართლ-მადიდებელნი ძალიან შეტაკებულნი არიან ერთმანეთთან და იბრძვიან უპირატესობისათვის. ამ ბოლოს ხანებში თავი იჩინეს სლოვენცებმაც; ხორვატებმაც კარგა მოიმაგრეს ფეხი გვარ-ტომობის ნიადაგზედ. მადიარებს და ნემენცებს დიდი ფიქრი და შიში მიეცათ, ამ მესამე მძინარემაც გზა არ გაიხსნასო, არ გამოარღვიოს ჩვენგან აშენებული კედლებიო და ამ ჟამად ორ-თავიანი ავსტრია სამ-თავიან სახელმწიფოდ არ გვიქციონო.

ბევრსა ჰგონია, რომ დღესა თუ ხვალე ყოველთვის ფრთხილი, მოხერხებული შინაური პოლიტიკა ავსტრიისა სლავიანებსაც იმ მდგომარეობას მიანიჭებსო, რაც იმიერ-ლეიტანიაში მადიარებსა აქვთ და ამიერში—ნემენცობას. მით უფრო საფიქრებელია ამისთანა დაბოლოვება საქმისა, რომ სლავიანები ბევრნი არიან, როგორც თვითონ ავსტრიაში, ისე ავსტრიის გარედაც და მერე მეტად ახლო-მახლო ერთმანეთზედ. თუ ავსტრიამ გული არ მოუგო სლავიანებს, ჯერ იმისი შიშია, რომ შესაძლოა თვითონ სლავიანებმა თვისი ცალკე სახელმწიფო გაიმართონ ახლო, თუ შორს მომავალში, მეორე იმისი, რომ დიდი სახელმწიფო სლავიანებისა რუსეთი უნუგეშოდ დარჩენილის სლავიანობის მიმზიდველ ქვეყნად შეიქმნება. არც ერთი და არც მეორე არ ახეირებს ავსტრიასა. ავსტრიამ ეს ჩვენზედ კარგად იცის და ამიტომაც სხვა-და-სხვა გვარ-ტომობის მოთავსება ერთმანეთში დღეს ავსტრიისათვის იმისთანა სატკივარია, რომელსაც ავსტრია ბევრს დროს, მეცადინეობას, ზრუნვას ანდომებს და რომელიც იმოდენად არ აცლის, რომ სხვა საგარეო საქმეებში თავისუფლად და ხელ-გახსნილად ამოქმედოს.

ფელეტონი

ფშაველები

(მათი სხვა-და-სხვა ჩვეულება, ცრუ-მორწმუნეობა და ხატები)

(დასასრული *)

V

ხატები

ფშაველები, როგორც ნამდვილნი ქართველნი, რა თქმა უნდა, მართლ-მადიდებელნი არიან, ხოლო ფშაველების მართლ-მადიდებლობა არ წარმოადგენს გაწმენდილს, შემუშავებულს რჯულს; იგი შემდგარია სხვა-და-სხვა წარმართულის და ქრისტიანულის წეს-რწმუნებისაგან, და ზოგიერთში ებრაულს რჯულს მოგვაგონებს. ეს შერევნა სხვა-და-სხვა რჯულისა ერთმანეთში ადვილად წარმოსადგენია, რადგან ხალხი, როდესაც ახალს რჯულს ეკიდება, ისე მალე ვერ ანებებს თავს ძველს რჯულსა. მართლ-მადიდებელი მოძღვრებაც არ არის აქ განვითარებული იმიტომ, რომ ქრისტიანობის მქადაგებლების, მღვდლების ხსენება მალე გამქრალა აქ. ამის მიზეზად ჩაითვლება ათას ნაირი ლეწა-მტერევა, რომელმაც საქართველოს თავზე გადაიარა. ხალხს მხოლოდ ყური მოუკრავს ქრისტიანობისთვის; რაკი შემოლევიან და არ შეჰრჩენიან მღვდლები, რომლებიც ხშირ-ხშირად მოაგონებდენ ხალხს ქრისტეს მოძღვრებას, ხალხს ისევ ძველი რჯული აგონდებოდა. ფშავში რომ ქრისტიანობა უვრცელებიათ, ამის დამტკიცება ადვილია: სადაც გინდათ მთაზე, ულრანს, გაუვალს ტყეში შეხვდებით ნასაყდრებს. ფშავში არსებობს ლეგენდა, რომელიც აღნიშნავს კერპობის, წარმართობის ბრძოლას ქრისტიანობასთან. ძველს დროში, ამბობს ლეგენდა, ფშავის ხევი სჭერია დევებს; იმათ ხალხი «უხელთავ» (უგიჟებია). დევები ამოუწყვეტია გმირს კოპალას. კოპალის სადგომს ხალხი დღესაც უჩვენებს ერთს ნასაყდრალს, რომელიც არის ტყიან გორაზე არაგვის ნაპირად; მის ძირში გდია უცნაური, ოთხ-კუთხიანი ქვა, რომელსაც გვერდებზე ჩაღრმავებულები ეტყობა, წყლის მოქმედების გამო. ეს ქვა ყოფილა ვითომც, სკამი კოპალასი. ის დევს მოუტაცნია საბლით, შეუკრავს და საბლის მჭიდროდ ჩასაბმელად, მიუჭირებია მუხლები, რომლის გამოც ქვა გვერდებზე ჩაღრმავებულა. ნადირობიდამ დაბრუნებულს კოპალას შეუტყვია ქვის დაკარგვა, გამოსდგომია მტერს უკან, ოცი ვერსის სიშორიდამ უსროლია დევისთვის ისარი და დაუგდევინებია ნაპარევი. ამ ქვას ხალხი დღესაც თაყვანს სცემს და ეძახის «კოპალის ქვას». კოპალის ქვა არის ტრაპეზი. ძველად, მაინც ქვის ტრაპეზები ყოფილა ხმარებაში.

შენობა, სადაც ხატი ჰყავს დასახული ფშაველს, არაფერში არა ჰგავს საყდარს. შენობა ხატისა არის ყორით აგებული რიყის ქვისაგან და ზედაც სიპი ქვა ჰხურავს. შიგ არის მხოლოდ ერთი საჴე იმ ხატისა, რომელსაც ხალხი ჰლოცულობს... შენობები ხატისა არის შემდეგი: დარბაზი, სალუდე და სასანთლეები. დარბაზი გარს შემორტყმულია დაბალის გალავნით, რომელზედაც კაცი ადვილად გადააბიჯებს; დარბაზზედ აწყვია ირმის რქები, მონადირეებისაგან შეწირული. დარბაზი წარმოადგენს იერუსალიმის წმიდა-წმიდათას, სადაც თავი-ხევისბერი წელიწადში მხოლოდ ერთხელ შედის, როგორც მღვდელთ-მთავარი წმიდა-წმიდათაში. გალავნის გარედ, კარგა მოშორებით, არის აშენებული «სალუდე» ანუ «საჯარე», სადაც ჰკიდია უზარ-მაზარი ლუდის სადული ქვაბი; იქვე არის ჩამწკრივებული კოდები ლუდის ჩასაფუებლად. დარბაზის და სალუდის არე-მარე დაჩრდილულია იფნის ხეებით. ხატის სიმარტივე და უხელოვნეობა მოსწონს ფშაველს. ხატობის დროს არც წირვის მოსმენა უნდება, არც პირჯვრის წერა და მუხლის-ყრა. ფშაველი მხოლოდ წინაპირველად რომ მოვა, მაშინ მოიყრის მუხლს პირ-დარბაზისკენ; შემდეგ მიდის სალუდის კარზე და უცდის, რომ მალე დაჯარდეს ხალხი (დასხდენ მწკრივად). თუ საკლავი ან ქადა-პური აქვს, ხევის ბერს დაადიდებინებს; მერე თავისუფლად მიდგება «ხატის კარზე». ხატს ფშაველი ეძახის ბატონს, ანუ «ღთიშვილს» და თავის-თავს ყმას. იგი ამის მეტს ბატონს იმ ჟამით ამ ჟამამდე მაინც არ იცნობს.

ჩვენის ბატონის კარზედა
ხე ალვად ამოსულაო,
წვერში დაუსხამ ყურძენი,
საჭმელად შამოსულაო.

დედა-კაცს არ შეუძლიან ხატის კარზე მისვლა იქ, სადაც კაცი მიდის, რადგან ის შელახავს, ანუ გააუწმინდურებს ხატსა.

ფშაველები შეადგენენ თორმეტს თემს: გოგოჭური, გაბიდაური, უძილაური, გოგოლაური, ჰიჩუელი, ახადელი, უკვენაფშაველი, წითელაური, ქისტაური, წოწკურაული, ტურანი და მისრიანი. თვითეულს თემს ჰყავს საკუთარი ხატი გარდა საზოგადო ხატისა. საზოგადო ხატი, რომლის სამსახურიც ყველა ფშაველს ადევს კისრად, არის თამარ-დედოფალი და ლაშარის ჯვარი. ეს ჯვარი არის შეწირული ლაშა გიორგისაგან ალბად ეკკლესიისთვის, როგორც ნიშანი ერთმანეთის ერთგულობისა: მეფისა ფშაველის მიმართ და ფშაველებისა მეფის მიმართ. ესე მოგვითხრობს ზეპირ-გადმოცემა. თამარ-დედოფლის ხატი და ლაშარის ჯვარი ერთმანეთს უპირდაპირებენ, ერთი ერთს მთაზე არის აშენებული, მეორე—მეორეზე. ამ ორს ხატს ფშაველები ეძახიან «მოდე-მოძმეთ» (და-ძმანი). ფშაველს სწამს ქრისტიანული წმინდანებიც: მთავარ-ანგელოზი, ღვთიშობელი, წმიდა გიორგი და სხვ. გარდა ამისა ხატებად ჰყავს გამხდარი ზოგ-ზოგი გმირებიც, მაგალითებრ: სულა-კურდღელა, პირ-ცეცხლი, პირ-ქუში.

---

*) «ივერია», № 36, 1886 წ.

ახალი ამბავი

⁂ თელავიდგანა გვწერენ, რომ ჩვენს ქალაქში მეტის-მეტი ბინძურობა და უსუფთაობა არისო. აგერ ეს ორი წელიწადია, რაც წითელა გახშირებულია და არავითარს ღონის-ძიებას არა ხმარობენ მის მოსასპობადაო. ამ სენმა მეტადრე ყმაწვილებისაკენ გაიწვდინა ხელი და მთელს ქალაქს მოედოო. ექიმი გვყავს, მაგრამ ვაი ჩვენი მტერი, რომ ის ექიმად არ გამოგვადგესო. ამას წინად ერთის ავად-მყოფის შესახებ მივედივარ მასთან და აი რა პასუხით გამომისტუმრაო: ცუდი დარია, მე ვერ წამოვალ, ორი დღის უკან შემატყობინეთ, როგორ არის და იქნება მოვიდეო. თუმცა მოვალე არ არის უექველად წამომყვეს, მაგრამ კაცთ-მოყვარეობა განა მოვალეობაზედ ნაკლებ უნდა მიაჩნდეს კაცსაო.

⁂ იქიდამვე გვწერენ: ჩვენი დამზოგველი დეპო მეტად ცუდს მდგომარეობაშიაო, რადგანაც, როგორც ამბობენ, ცოტაოდენი სახარჯო ფული შემოჰკლებია და არავინ კი არა ცდილობს რამე წამალი დასდონ მის მდგომარეობასაო. დეპოს დახლიდარი დაითხოვეს, რომელიც არაფერში არ იყო დამნაშავეო. აბა ამაზედ არის ნათქვამი, რომ «ცხენს ვერაფერი დააკლეს, უნაგირს დაუწყეს ცემაო». დეპოს წლიური ანგარიში გვიჩვენებს ყველა ამასაო და იქნება მაშინ მაინც გაიბერტყონ ყური მისმა მოშირნახულეებმაო.

⁂ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რაც ჯორჯაძის დამარხვის დროს ამბავი მოხდა. როგორც ეხლა გვატყობინებენ, ამის გამო 21 კაცი დაუტუსაღებიათ, რომლიდგანაც სამის მეტი ყველა გამოუშვიათ და სამნი კი ჯერაც დაჭერილები არიანო. ენისლელებს ამოურჩევიათ რამდენიმე გლეხი და ტფილისში გაუგზავნიათ ადვოკატთან შესატყობლად, თუ რამდენს გამოართმევენ ამ საქმის ხეირიანად დაცვისათვის. ერთს ადვოკატს 1.000 მან. უთხოვნია, ფეშქაშების გარდა, რასაკვირველია. ვნახოთ რითი გათავდება ეს საქმე და რა მოუვათ საბრალო გლეხებსაო.

⁂ რაჭიდგანა გვწერენ: დიდი ხანია ამისთანა თბილი და უთოვლო ზამთარი არა ყოფილაო. რაჭამ ქარი არ იცოდა და 1 თებერვლიდგან კი ერთის კვირის განმავლობაში ისეთი ქარი უბერავდა, რომ სახლებს სახურავები აალალა და ხეები ფესვიანათ ამოაგდოვო. სამი კვირაა ყვავილმა ხელ-ახლა იჩინა თავიო. ერთს დღეს სოფ. ბაჯში 12 კომლს გამოაჩნდა ყვავილი და შვიდი და რვა კაცი იმსხვერპლაო. ზოგიერთ სოფლებში კიდევ ფილტვების ანთებით და ხურვებით ბევრი ხდება ავადაო.

⁂ ჩვენ გვატყობინებენ ტფილისის მაზრიდამ, რომ ათს ამ თებერვალს დისტანციის უფროსს ტფილისის მაზრისას ნ. გაბარაშვილს დაუჭერია გამოქცეული ზაქათალის ოლქის სატუსაღოდან, ნორიოელი სანდრო (იგივე ალექსი) ცოფურაშვილი, რომელიც იმალებოდა ოლღინის სოფლის მახლობლად, მლაშე ტბასთან, ტფილისელის ქიშმიშოვის ფარეხში. დატუსაღების შემდეგ ცოფურაშვილი გატყდა, რომ მას ზაქათალაში მოუკლამს კაცი და გამოქცეულია სატუსაღოდან. ეს დაჭერილი ცოფურაშვილი მაზრის უფროსმა გაგზავნა ტფილისის მეტეხის საპყრობილეშიო.

⁂ 15 თებერვლის ღამეს პოლიციის მე-10-თე განყოფილებაში კორპუსის სამუსიკო კომანდის ფანჯარა გაუტეხიათ და ერთი ზანდუკი დაბალის ხარისხის ჯარის კაცების ნივთებით სავსე გაუტანიათ. ქურდი არ იციან ვინ არის.

⁂ 15 თებერვალს ნავთლუხში თავისის ნათესავების სახლში მორფიით მოუწამლავს თავი ჯარის კაცის შვილს ალექსი ფენკინს. თვით-მკვლელობის მიზეზის შესატყობად გამოძიებაა დანიშნული.

ნაკვესი

ერთხელ ერთი ქართველი არტისტი, რომელიც ცნობილია ვითარცა უიმედო ტრივიალი თეატრისა და ხშირად ფრიად უგემური მოთამაშე, ეუბნებოდა აკაკის:

— ვერ წარმოიდგენ, აკაკი, რა რიგად მიყვარს სცენაო! როცა მე არა ვთამაშობ და სცენას ვუყურებ, სულ ერუანტელი მივლისო!

— წარმოიდგინე, რომ მეც მაგ მდგომარეობაში ვარო, უპასუხა აკაკიმ.

— შენ რათაო!... ჰკითხა გაკვირვებულმა არტისტმა.

— შიშისაგანაო!... მიუგო აკაკიმ.

— რისი გეშინიაო!...

— იმისი, ჩემო კარგო, რომ სცენაზედ კარი არ გეღოს და შენ არ შემოხვიდეო!...... აუხსნა შეუბრალებელად აკაკიმ.

ქართული თეატრი

ამ ჩვენს «ლიტერატურულ ციებ-ცხელების» დროს მალიან გახშირდა დრამების, ვოდევილების, ტრაგი-კომედიების და სხვა მაგ გვარ პიესების წერა. ნიჭიერნი და უნიჭონი—ყველანი რეპერტუარის «გამსებას» და «გამდიდრებას» ცდილობენ. ამ თვალად სასიამოვნო ამბავს არა-სასიამოვნო შედეგი მოსდევს. სამწუხარო ის არის, რომ ეს ამბავი «გამდიდრების» მაგიერ გალატაკებას უქადის ჩვენს თეატრის საქმეს. რასაკვირველია, ჩვენის რეპერტუარის გასუფთავება მალიან ადვილად შეიძლება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სანამ ეგ ნეტარი დრო მოასწევს, «ციებ-ცხელება» პიესების წერისა დიდს ვნებას აძლევს საზოგადოების ესტეტიურ გემოვნებას. არამც თუ ჩვენს საზოგადოებაში, სადაც დრამატიულ ხელოვნებაზედ სწორი აზრის მქონე პირები თითით ჩამოითვლება, არამედ უფრო განათლებულ და გემოვნება-გახსნილ საზოგადოებაშიაც-კი ხშირად არის რომ უხეირო, უესტეტიკო პიესები მომეტებულ საზოგადოების ნაწილს სრულებით უფუჭებენ გემოვნებას და, მაშასადამე, ერთს უმთავრეს წინ-წარმატების სამირკველს ორმოს უთხრიან. როგორც წინედ ვსთქვით, ჩვენში ამ ბოლო ხნებში ბევრი პიესები დაიწერა. ზოგი ორიგინალური, ზოგი თარგმნილი და ზოგი გადმოკეთებული. ერთი ამ გადმოკეთებულ პიესათაგანი არის ისტორიული დრამა «თამარ-ბატონიშვილი» გ. მესხისა. ჩვენის აზრით, ამ ისტორიულ დრამაში ისტორიული სრულებით არაფერი არა არისრა. მართალია XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოში იყვნენ: ლაშა-გიორგი, რუსუდან, თამარ, არღუთაშვილები და ერისთვიანთ გვარი, მაგრამ გ. მესხს ხსენებული პირებისათვის სახელები ჩამოურთმევია და უხვად დაურიგებია ვიღაცა კაცუნებისათვის, რომლებსაც ისტორიასთან ისეთივე დამოკიდებულება აქვთ, როგორც კარაპეტას მეჭეჭს მთვარესთან. და ასეც რომ არ იყოს, განა «თამარ ბატონიშვილი» წარმოადგენს ნამდვილს დრამას?

«თამარ ბატონიშვილს» თუ ყოველს წელიწადს არდგენენ სცენაზედ და ხალხიც საკმარისად ესწრება—ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გ. მესხის ხელოვნება იყოს ამის მიზეზი, არა. თუ პიესის გამო ხალხი დაიარება, ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ მას ახალისებს ჯერეთ პირველად პიესის და მერმე მოქმედნი პირების სახელები და მართლაც ეხლანდელს ჩვენს მდგომარეობაში რაც გინდ უხეირო ისტორიული პიესა იყვეს, მაინც მოიზიდავს ხალხს.

რაც შეეხება წარსულს წარმოდგენას, ჩვენ მხოლოდ, ერთის რუსის პოეტისა არ იყოს, შეგვიძლიან ვსთქვათ:

> «Довольно! оттого душѣ не веселѣй,
> Что драму скучную играютъ скоморохи»!

მაგრამ ამას როდი დასჯერდებიან ჩვენი არტისტები. დავიწყოთ თუნდა ბ. მოხევედან. ნეტა რათ კისრულობს ბ-ნი მოხევე იმისთანა როლების თამაშობას, რომლის აღსრულებისთვის მას არავითარი საშუალება არა აქვს. ელიზბარ ერისთავის როლი მოთამაშესაგან თხოულობს დიდს შინაგან მოძრაობას, ფრანგები რომ იტყვიან ხოლმე *feu sacre* (ღვთაებური ცეცხლი). ამ როლში არ არის მოქმედება, აქ მხოლოდ სულიერი მოქმედებაა, რომლისათვის საჭიროა დიდი გრძნობიერება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბ-ნ მოხევეს გრძნობიერება საკმაოდ აქვს, მაგრამ საქმე ის არის, რომ არტისტმა გამოჰხატოს ეგ გრძნობა; რა საშუალობით? ეგ მისი ხელოვნების და ნიჭის საქმეა. ნამდვილი არტისტი იმით განირჩევა, რომ ყოველს გრძნობას ჰხატავს—ახორციელებს. ბ. მოხევეს თავისი როლები აქვს და მისის ნიჭის არშესაფერი როლები არც იმას და არც ჩვენ გვესიამოვნება. მაგრამ არც მოხევეა გასამტყუნარი. თეატრის გამგე უბრძანებს, გინდა თუ არა ითამაშო და აი კიდეც თამაშობენ, მაგრამ კაი მაგისთანა თამაშობას.—ბ-ნს ალექს.-მესხიევს აკლდა სიცხოველე. თამაშობა მაშინ არის კარგი და ხელოვნური, როდესაც სრული თანხმობაა სიტყვისა და საქმის შუა. ხმა არტისტისა ყოველთვის უნდა ეთანხმებოდეს მომქმედის პირის მდგომარეობას. თორემ თუ სიტყვები: «ოჰ, თამარ, მაშინ დედა-მიწა ზღვათ იქცეს და ზღვა ქვეშ მოექცეს»! ისე წამოითქმის როგორც: ერთი სტაქანი წყალი დამალევინეთო, მაშინ ცრემლების მაგიერ სიცილს გამოიწვევს არტისტი. ვ. მელიქოვის ქალი თამარის როლში სუსტი იყო, ამასაც ეტყობოდა უგრძნობიერება და ზოგან მესხიევს უშლიდა. ქ. ანდრონიკოვისა ჩვეულებრივად მშვენიერი იყო რუსუდანის როლში. დანარჩენებზედ ნურას ვიტყვით.

ასიამოვნა მაყურებელი ვოდევილმა «ოინბაზმა». მ. საფ.—აბაშიძისა, ნ. ჯორჯაძე და ვ. აბაშიძე სწორედ დაუფასებელნი იყვნენ. ჩვენ მუდამ იმ აზრისა ვიყავით, რომ ნ. ჯორჯაძეს დიდი სასცენო ნიჭი აქვს და ხსენებულ პიესაში მან აშკარად დაგვარწმუნა, რომ ეს ასეა. ცოლ-ქმარნი აბაშიძენი თამაშობაში ზომას არ გადადიოდნენ. ეს დიდი ღირსებაა მეტადრე მაგისთანა ვოდევილში, როგორიც არის «ოინბაზი»

ფშაველს გარდა თავის თემის ხატში სიარულისა, უნდება სიარული ცოლეურების და დედეულების ხატშიაც. სხვა ხატების ვალი იმას არ აწევს ვალად, თუ მკითხავმა არ გახადა მოვალედ. ფშაველი მოვალეა გამოისყიდოს შვილები თამარ დედოფლის ხატისაგან, ანუ, როგორც თვითონ იტყვიან, «გაიყვანოს». ვაჟი გამოისყიდება კურატით, ქალი —ცხვრით, საკლავით. ეს ჩვეულებაც ებრაულია: ყველამ იცის, რომ თვითონ იესო ქრისტეს გამოსასყიდლად მიიყვანა ღვთის-მშობელმა მარიამმა ორი გვრიტი. ხევის ბერი გამოსთხოვს მოწყალებას ხატს ბავშვისთვის, დალოცავს და დაჰკლავს საკლავს. ხევის ბერი არის ერთსა და იმავე დროს მემკვიდრე მოგვისა და მღვდლისა. ხევის ბერი წინანდელს დროში არა ყოფილა მარტო სამღვთო წესების ამასრულებელი, არამედ სჭერია ხელში პოლიტიკური და იურიდიული უფლებაცა. იგი ყოფილა მშვიდობიანობის დროს მსაჯული და ომიანობაში—ჯარის წინამძღვარი ხელში დროშით. ფშავლის ხევის-ბერად მოწოდება მოხდება სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო: ჯერ ერთი ქადაგისაგან და მეორე მკითხავისაგან. მაგრამ მკითხავიც ყველას წარამარად არ ირჩევს, იმასაც აქვს, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, საკუთარი მეთოდი ხევის ბერის ამორჩევისათვის... თუ რომელმამე ფშაველმა დაიწყო ავადობა დიდხანს და ვერა რჩება, მკითხავი ურჩევს, რომ წმინდობა დაიწყოს, გახდეს ხევის-ბერად, ხატის მსახურად. ხევის-ბერად კურთხევისთვის, ანუ ხელ-მხარის სანათლავად უნდება ახლად მოწოდებულს რვა საკლავი და ერთი კურატი. ამათის სისხლით განათლევენ თავის მოძმეს ხევის ბერები, სისხლს წაუსმენ შუბლსა, მკლავსა და გულზედ.

ხევის ბერის თანაშემწე არის დასტური, რომელიც მოვალეა სასმელ-საჭმელი დაურიგოს ხალხსა. დასტურების რიცხვი თითო ხატში სამიდამ ექვსამდე ადის. ხევის ბერები და დასტურები წმინდობენ. წმინდობა მდგომარეობს იმაში, რომ ღორის და ქათმის ხორცს არა სჭამენ, ნალახს ძლიერ ერიდებიან, ერთი თვის წინედ ხატობამდისინ მეუღლეებთან არ დაწვებიან. ლუდის დუღება რიგ-რიგით მოსდევს.

ადგილობრივი მღვდლები და ხევის ბერები მტრობენ ერთმანეთს, ერთი მეორის დამცირებას ცდილობს ხალხის თვალში. ხევის ბერს უფრო ღრმად აქვს გადგმული ფესვები ხალხის გულში...

იმის დიდება ანუ დალოცვა, კურთხევა არის მდაბიო და გასაგონარი, ვიდრე მღვდლისა, ასალებსაც ბევრით ნაკლებს იღებს მღვდელზედ. ძველად ხევის ბერები კიდეც აზიარებდენ და დამარხავდენ ხოლმე მკვდრებს. დღეს ეს უფლება ჩამორთმეული აქვთ. ახალ-წელიწადს დღეს ყველა ოჯახიდამ მოვიდოდა თითო კაცი სალუდეში. ხევის ბერები ჩაჰყრიდენ გაფუებულს პურს ლუდში, ჩაუსხამდენ ზოგს ჯამში, ზოგს მათარაში, ისინი დაბრუნდებოდენ სახლში და იქ მყოფებს უნაწილებენ, აზიარებენ.

VI

ფშავლის ხევისბრის დიდება.

ღმერთო! დიდების მეტი და მადლობის მეტი შენ არა მოგეხსენების. ღმერთო! შენია გაჩენილი ხვნა, ხვეწნა და ლაღადება, თორემ ხმელზეით ხორციელნი ხმას ვერ შემოგდებდენ.

დიდება შენთვის, ღმერთო, დიდება შენთვის, კვირას კარავიანს, დიდება შენთვის, გიორგი მუხის ანგელოზს*), დიდება შენთვის, თამარს დედოფალს, ხმელეთის დამრიგებელს! თქვენ გადიდოსთ ღმერთმა, გაგიმარჯოსთ, თქვენი ხმალი, თქვენი სამართალი, თქვენ თქვენი გამჩენი. ღმერთი არ მოგიწყენსთ, არ მოგიძულებსთ; თქვენ თქვენს საყმოს ნუ მაიწყენთ, ნუ მაიძულებთ. საყმოშიით ვინმე გეხვეწებოდესთ (სახელი სამსახურის პატრონისა). რასაც გულზე და მხარეზე გადიდებდენ, გეხვეწებოდენთ, იმ გულზედ, იმ მხარეზედ, შეიხვეწეთ, შეინახეთ; რასაც წყალობას გეთხოვებოდენთ, ის წყალობა ღმერთსაც გამოუთხოვეთ, კვირასაც და თვითონაც თქვენი წყალობა უყავით. პირველად წულს მოუმატეთ ამ სახლშია, ლონე ქონესა, კაცსა კაცრიელობისა მტრის ხელი ახადეთ, სიკვდილის ხმა მოაშორეთ, დაცევ-დაფარეთ ლალის მტრისაგან, მწარე სიკვდილისაგან. ნურას მიჰკერძებთ ღვთისაგან გამოშვებულს სევდა-სნეულობასა. სადაც თქვენი ულური დაიძახონ, თქვენი მოწალმართე ანგელოზი მოახმარეთ, თქვენი კაბის კალთა დააფარეთ; მოლაშქრეს გაუმარჯვეთ, ამათ სახშიით გასულს მონადირეს ხელი მაუმართეთ, მგზავრი მშვიდობით მაჰგვარეთ. წული ვინმე გთხოეოსთ, წული ღმერთსაც გამოუთხოვეთ, კვირასაცა და თითონაც თქვენი წყალობა უყავით; გასაზდო ვინმე შამოგახეწოსთ, გაუზარდეთ, უქენით ეტლიან-დაულათიანი; სნეული ვინმე შამოგახვეწოსთ, სნეულს ულხინეთ, მაურჩინეთ. ზამთარი მშვიდობისა გადააყრეინეთ და ზაფხულიც ლალიან-ბარაქიანი ჩამაუყენეთ. ღმერთო, თქვენს ბატონობას გაუმარჯვებს; თუ მე რასმე მოხსენებას ვაკლებდე, თქვენ თქვენს წყალობას ნუ დააკლებთ, თქვენის გამჩენის ჰლთისასა. ღირსად აიტანეთ, ბატონო ბედნიერო, ღირსეულადა ხსნილად, კურთხეულადა დაკლული ზვარაკი, დადგმული ტაბლა, დაწვერეთილი სეფე, დასხმული ბარძიმი, მეშველი, მწყალობელიც იქნებით მხოიშნებელი. დიდება თქვენს ძალასა, თქვენს სამართალსა, თქვენის გამჩენის სამართალსა, თქვენის გამჩენის ღვთისაგან. (ღმერთმა გაუმარჯოს დასძახებს ხალხი) ხევის-ბერი მობრუნდება ხალხისკენ და იტყვის: მოგეცესთ წყალობა რაც ადიდა, იხსენა იმათმა დაელათმა, თემო, სოფელო, ქუდოსანო, მანდილოსანო.

ვაჟა-ფშაველა

---

*) ლაშარის ჯვარი.

დღეს 18 თებერვალს დანიშნულია გ. ერისთავის კომედია «გაყრა» და ერთი სცენა შილლერის «ავაზაკებიდან».—

გალიკო—ია.

დამაკვირდი!

მეცნიერება ჭაა, თვით ოკეანეზედ უღრმესი. (მონტესკიო)

⁂

მეცნიერება — გამოცხადებაა ნივთთა თვალთ-ნახილვის და საბუთების შემწეობითა. (ლაქორდერი)

⁂

ისე არა რა უწყობს ხელს დედაკაცის სახელის გატეხასა, როგორც უმართებულო გამომეტყველება სახისა. (პისიო)

⁂

უქმობა ჟანგია სულისა. (დელევისი(

⁂

სადაც სიმართლე არ მიმიძღვის, ხმალიც არ მიჭრის. (შექსპირი)

⁂

სულსა და გულსა ვამსგავსე მოყვარე საყვარელია. (მეფე ვახტანგ VI)

⁂

რაც უნდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, პატრიოსანს გულში მაინც ყველაზედ დიდი ადგილი უჭირავს. (პეტიტ სენნი).

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფელი ხიდისთავი. (გორის მაზრა) ქალაქ გორიდგან ორი ვერსის მანძილზედ მდებარეობს სოფელი ხიდისთავი მტკვრის მარჯვნივ. ქართლში ამ სოფელს ბევრი სოფელი არ შეედრება; ამას თითქმის, თუ პირველი არა, მეორე ადგილი მაინც უჭირავს გორის მაზრაში. ხიდისთავი შემკულია ჭალებით, წყლით და მდებარეობითაც კარგი ადგილია, მინდორი და ტყე ახლო აქვს, ჩამოუდის მშვენიერი მდინარე ტანა. ამ მდინარით ირწყვის ის მშვენიერი ვენახები, რომლის ღვინო, შემდეგ მუხრანის, გათქმულია მთელ ქართლში და ყოველთვის კარგ ფასშიაც იყიდება: სხვა სოფლებში რომ კოკა ტკბილი ოთხ-ხუთ მანეთად იყოს—აქ შვიდი-რვა მანათია ხოლმე. ვენახის მოსავალში ხილეულობასაც კარგი გასავალი აქვს, რადგან გორი ზედვე ახლოს, თვითონ დედა-კაცებსაც კი გამოაქვსთ ხილი გასასყიდად და ერთ ატამსაც არ გააფუჭებენ, რომ ფასი არ აიღონ; კვერცხს, ქათამს და ყოველსავე წვრილ-წვრილად აქაურები კარგად ასაღებენ. მცხოვრებთ რიცხვი აქ ორას და ორასზედ მეტის მოსახლისაგან შესდგება. ზაფხულობით აქ დიდი ხალხი მოდის. დღე მუდამ შეხვდებით ხიდისთავში გორელს. რათა? იმიტომ, რომ ამ გორელებს, მომეტებულად ვაჭრებს ბევრი მამულები აქვსთ გლეხებისაგან შეძენილი, მუქთად ჩაგდებული, ნამეტნავად ვენახები; ვენახებში კარგი ლაზათიანი სახლები აქვსთ აშენებული, ორ-სართულიანებიც-კი. მარნები, ქვევრები მოკირწყლული და მშვენიერის «ბესედკებით» მომართული; დიახ შემკული სოფელია ხიდისთავი, მაგრამ ამ სოფელს ერთი ისეთი ნაკლი აქვს, რომელიც დიდად სამწუხაროა: მე მოგახსენებთ სკოლის უქონლობას. გაზეთებში ვკითხულობთ. აი ამა და ამ სოფელმა განაჩენი შეადგინა, ხალხმა გაიწერა ფული, სახლები აშენა, რისთვის? სასოფლო სკოლისათვისაო. ამ შემკულს ხიდისთავის სოფელს კი არა ეშველა რა; ჯერაც არ შესდგომიან იმ ბრწყინვალე საქმეს, სკოლის დაფუძნებას.

ხიდისთავში, თუმცა ღარიბნიც არიან, მაგრამ უფრო შეძლებულ ხალხს ხშირად შეხვდებით. მის მახლობლად ზედი-ზედ სოფლებში სკოლებია გამართული, მაგალითებრ: კავთისხევს, ახალქალაქს, მეტეხს, გომს და ხოვლეში,—ნუ თუ ხიდისთაველებს კი არ შეუძლიანთ სკოლა და ერთი მასწავლებელი შეინახონ? ხიდისთავს ახლო ორს ვერსტზედ მეორე სოფელი უდევს ატენი—ნუ თუ ეს სოფელიც მაინც რომ ზედ დავადოთ, მაშინ მაინც ვერ მოახერხონ? ძალიან ადვილად მოხერხდებოდა. მხოლოდ და მხოლოდ საჭიროა თავსმდები, გავლენილი კაცი, შეაგულიანოს აქაურები, შეაგონოს საჭიროება, ჩაუნერგოს გულში გლეხ-კაცობას სკოლის სარგებლობა და მაშინ ყველაფერი შესაძლო იქნებოდა.

ამ ნაკლს ზედ დაემთხვა ხიდისთავის მცხოვრებლებთათვის ერთი დასაკარგი, რომელსაც მოგახსენებთ. გლეხ-კაცობა და მთლად საზოგადოება ხიდისთავისა დღეს ძალიან სწუხს: მან დაჰკარგა სიყმაწვილითვე მათთან შეზრდილი, აქ დაბერებული მღვდელობაში, მოხუცი სამოც-და-ათის წლისა, დეკანოზი გიორგი კარიჭაშვილი. იგი როგორც კეთილი მოძღვარი და მშვიდი კაცი, მრევლისაგან შეყვარებული და პატივცემული—მრევლმა გულ მტკივნეულად მიაბარა საუკუნოდ შავ მიწასა. 26-ს კვირას მამა არხიმანდრიტმა მაკარიმ სწირა შეტეტის ეკკლესიაში, თანა მწირველები ჰყვანდა დეკანოზები და მღვდლები. მეტად სასიამოვნოდ და საგრძნობლად შესრულდა ქართულად წირვა. წირვას ეტყობოდა სასოება მით უმეტესს, რომ მშვენიერად და ლაზათიანად იგალობა კარბელოვის გალობა ბ-ნ ნიკო ბერიშვილმა თავის ოთხის, გორის სასულიერო სასწავლებლიდგან მოწვეულ მოწაფეებითურთ. ანდერძზედაც მათ იგალობეს.

წირვის შესრულების შემდეგ—განიცადნეზედ, გორის სობორის მიძინების მღვდელმა იოელ გამრეკელმა მჭევრ-მეტყველურად მეტად გულ-მტკივნეული და საგრძნობელი სიტყვა წარმოსთქვა გარდაცვალებულზედ: მან სხვათა შორის ახსნა, «დიდხანს სიცოცხლე ძვირ-ფასის კაცისათვის იმიტომ კი არა, რომ ბევრი წლები განვატაროთ, არამედ იმიტომ, რომ კეთილნი საქმენი და რამე ღვაწლი დავსტოვოთ ამ ჩვენ წუთის-სოფელშიო».

მ. გ. ა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთს «Современныя Извѣстія»-ში მოყვანილია განთქმულის ნემეცის ფილოსოფოსის შოპენგაუერის აზრი ნემეცებზედვე. უადგილო არ იქნება, ჩვენს მკითხველებსაც გავაცნოთ ეს შესანიშნავი აზრი ფილოსოფოსისა.

> უქრაობა, სიმძიმე, მოუხეშაობა ნამდვილ ნემეცურის ხასიათის თვისებას შეადგენს, გვაუწყებს ფილოსოფოსი. ეს თვისება ცხადად გამოსჭვივის ამათ სიარულსა, მიხრა-მოხრასა, ყოველს მათს მოქმედებასა და გონების გამომეტყველობაში. ნემეცების ენა, სიტყვა-პასუხი, თხზულებანი, აზრების გამოხატვა და მეტადრე სიტყვიერების კილო ამას ცხადად გვიმტკიცებს. ამ გარემოებითვე უნდა აიხსნას, რომ ნემეცები ასეთის სიამოვნებით აპრტყელებენ თავიანთ ტყვიასავით მძიმეს, ბარგიანს და ერთმანეთში დახლართულ სიტყვასა, ნამეტნავად წერაში. რადგანაც სიკვდილი თავზე მადგა, უნდა აღსარების ქვეშ ვაღვიარო, რომ საშინლადა მძულს ნემეცები, მათი განუსაზღვრელი სისულელე და ვწითლდები, რომ მეც ამ ერს ვეკუთვნიო.

ღმერთმა ჩემი მტერიც იხსნას ასეთი სასტიკი და შეუწყალებელი მსაჯულისაგან!

⁂

ახირებულია ზოგიერთის კაცის ჭირვეულობა! ატეხილა და თავისას არ იშლის ბ-ნი კავთელი და, «თეატრის» კრიტიკოსი. ამაზედ ნაკლებად საკვირველი არ არის ამ კრიტიკოსის გონების ნაყოფიერება! ისე ჟურ. «თეატრის» ნომერი არ გამოვა, რომ ამის შესანიშნავი ნაწარმოები არ შეგხვდეთ შიგა. აი ჯერ-ჯერობით ერთი სამაგალითო ადგილი მკითხველების საყურადღებოდ:

> მეორე წარმოადგინეს «დედა და შვილი», მაგრამ ჩვენის აზრით ამ გვარი სურათების დადგმა სრულიად უადგილოა, რადგანაც სცენიკურს (?) კანონებს სრულიად მოკლებულია და მაინც-და-მაინც თუ დადგეს, ისეთმა პირებმა უნდა ითამაშონ, რომ რიგიანათ და გრძნობიერათ კითხვა შეეძლოთ და არა სიმღერით ლაპარაკი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა და ვ. ალექსეევ-მესხიევმა, (ზმნა სადაა?) რომლებიც ლექსის კითხვის კილოს სრულიად მოკლებულნი ყოფილან და ამას, რომ ზედ დაუმატოთ ბ. მესხიევის როლის უსწავლელობა, ერთი სიტყვით სრული მახინჯობა გამოდიოდა.

«სრულად მახინჯობა გამოდიოდა», თუ არა, ეგ თვითონ კრიტიკოსმა იცოდეს, და რომ ამ მისი ნაჯღაბნიდამ სრული მახინჯობა გამოდის, ამას კი ჩვენის თვალითა ვხედავთ. ჩვენ ხომ ვხედავთ და ვხედავთ, და იქნება ღმერთმა გვიშველოს, რომ თვითონ ბ-ნ კავთელმაც როდისმე დაინახოს.

პროკლამაცია თ. პეტრე ყარაგიორგიევიჩისა.

ძმანო სერბიელნო! წარმოვსდგები თქვენს წინაშე ამ გაჭირვებულს დროს. მე მეფობის სურვილით არ მომდის ესა. ჩუმად ვიყავ აქამდე მამისჩემის სიკვდილის შემდეგ, თუმცა ნება მქონდა, როგორც შვილის შვილს ყარაგიორგისას, არ გავჩუმებულვიყავ. კიდევ რომ გავჩუმდე, ჩემის მამა-პაპის და წინაპართ აჩრდილთა საწყევარი გავხდები; იმ გმირთა აჩრდილთა, რომელთაც თავიანთ თავი დასდვეს ჩვენის ძვირფასის სამშობლოსათვის. კაცთა მკვლელის ხელმა უფსკრულამდე მიიყვანა სერბია და დღესაც, როცა საშინელი განსაცდელი გამოიარა სერბიამ, თავს არ ანებებს იმ გზას, რომელიც არა თუ მარტო სერბიას, არამედ სრულიად სერბიის ერს დაჰღუპავს.

ამ გვარს დროს სერბიას ყოველს გულ-გრილობას დასწამებენ სამშობლოსადმი, და მით უფრო მიუტევებელ ცოდვათ ჩაუთვლიან შვილის-შვილს ყარაგიორგისას, რომ არ გამოვიდეს არა ტახტის დასაპყრობად, რომლისა მას კანონიერად ეკუთვნის, არამედ სერბიის ერის სრულის დაღუპვიდამ დახსნისათვის.

დიდი ხანია გულის ტკივილით ვუყურებ, როგორ ჰღუპავს სერბიას სვეუბედური მმართებლობა კოროლის მილანისა, როგორც ამბობენ ამას თავიანთ თანამოძმეები და რა გვარის უწყალობით ეთხრიან ძირს სერბიის ბედნიერებას, და ყველა ეს მიმართულია პირადად უბედურის მმართველის სასარგებლოდ, რომელსაც გული არა აქვს თავის ერისათვის, რომელსაც არ აწუხებს მისი წუხილი და რომელიც არა ჰზრუნავს არც მისის ბედნიერებისა და არც მისის მერმისისათვის.

დიდი ხანია გულის ტკივილით გადევნებ თვალს, როგორ ამცირებენ სერბიას, როგორ უპატიურად ექცევა თვით სამეფო ტახტი ერის ღვთაებურს ნებასა და მართლიერებას; როგორ ჰკვნესის ერი დიდის და მძიმე გადასახადისაგან და ყველა ეს ხდება ერთის კაცის ინტერესებისათვის, რომელიც თავის მეფობას ერის გულისაკენ მიმართულის მახვილით იცავს. მე ვხედავდი, საუკეთესო შვილნი სერბიისა როგორ იტანჯებოდნენ ციხეში, სადაც თქვენი მტარვალნი უნდა ისხდენ, როგორ ავაზაკებურად დევნულ-იყვნენ იგინი სამშობლოდამ და განდევნილი უცხოობაში ცხარე ცრემლს ჰღვრიდნენ და მწარე პურსა სჭამდნენ.

ყველა ამას ვხედავდი და ვთრთოდი სერბიის მერმისისათვის! მაგრამ მე მაინც იმედს არა ვკარგავდი, რომ სერბიის კეთილი და მფარველი ანგელოზი გამოფხიზლდებოდა.

სამწუხაროდ, სერბიის ანგელოზმა დაინახა ასეთი დამცირებული მდგომარეობა სერბიისა და პირი მოარიდა სერბიის ერს. სერბიის ერმა არ დაიფარა თავისი ანგელოზი საშინელის უპატიურებისაგან, ღირსების დაკარგვისაგან და ღირსება კაცისათვის ხომ სიცოცხლეზე ძვირფასია...

ტახტზედ ასულმა მკვლელმა არ აკმარა სერბიის ერს ყველა ის უბედურება, რომელიც ამ უკანასკნელს დროს მოუვლინა, მან გახადა და ღირსების გრძნობა, გრძნობა გმირობისა და ქველობისა დაუხშა ერს. იმ გმირობისა და ქველობისა, რომლითაც ჩვენ თავს ვიწონებდით მთელის ქვეყნის წინაშე, მტერთანაც და მოყვარესთანაც.

ერის მკვლელმა იქამდი მიიყვანა სერბია, რომ თითით საჩვენებელი შეიქნა სლავიანობაში, კაინად გადიქცა და ღვიძლ ძმას მოსისხლე მტრად მოეკიდა იმ დროს, როცა მას თავის განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის უნდა ეშრომნა. სერბიის ერი შეიქმნა ძმის მკვლელად!

ხელმან უზენაესისამან სასტიკად დასაჯა ძმის მკვლელობა.

ნამდვილი სასჯელი-კი, დამსახურებული სასჯელი ჯერ კიდევ მოელის იმას, ვინც შეიქნა მიზეზი ყველა ამ ბოროტებისა.

ამ მსჯავრის დამდები საქმე—თქვენი საქმეა, ძმანო სერბიელნო! თქვენ უნდა იყოთ ის რისხვა ღვთისა, რომელიც განდევნის დამნაშავეს, თქვენს შემრცხვენელს, თქვენის სახლისა და პატიოსნების შემაგინებელს!..

თქვენი საქმეა, გსმა, ძმანო სერბიელნო, კვლავ დააყენოთ სერბია ჭეშმარიტს გზაზედ, მალამო დასდოთ მის ჭრილობასა და დაწყლულებულს აგებულობასა.

მე რომ გხედავდეთ, ძმანო სერბიელნო, კარგს და კეთილ ყოფაში, რასაკვირველია, ჩემს თავს აღარ მოვაწონებდით. მე შორიდგან სიხარულით დავუწყებდი ცქერას თქვენს ბედნიერებას და აღარ მოვაგონებდით, რა მართლიერება მიმიძღვის თქვენს წინაშე; ჩემს მართლიერებას თქვენს ბედნიერების ქვეშ დავმარხავდი და ჩემის სახელისათვის თქვენს მშვიდობიანს და ბედნიერს ცხოვრებას არ შევარყევდი.

და ეხლაც, რაც მე მეკუთვნის, იმას იმიტომ-კი არ ვითხოვ, რომ ხელმწიფება მქონდეს, არამედ იმიტომ, რომ თქვენ იყოთ ბედნიერი. ღვთაებრივი მოვალეობა სერბიისა და ყარაგიორგის შვილის-შვილისა მაიძულებს ასე მოვიქცე. ჩემი ვალია, მიუშველო ერს, რომელიც უფსკრულის ნაპირასა სდგას.

ძმანო—სერბიელნო! დაიხსენით სამშობლო, სანამ ჯერ კიდევ დრო გაქვთ! თქვენი ოჯახი, თქვენი სახლი ზემოდამ ინგრევა! მოიშორეთ თავიდამ ის ხელი, ვიდრე ჯერ კიდევ სრულიად არ დაუქცევია მაგარი სამირკვლი სახელმწიფოსი.

თუ ჩემი შველა გინდათ, მე მზათა ვარ, როგორც ტახტის მემკვიდრე კი არა, როგორც სერბიელი და როგორც შვილის-შვილი ყარაგიორგისა.

ვუშველოთ ძვირფასს სერბიას, დავაყენოთ ჭეშმარიტ გზაზედ, რომ კვლავ სერბიელების და სლავიანების მტკიცე ბურჯი შეიქმნას და გმირთა სავანედ გარდაიქცეს; მამა-პაპათა სარწმუნოებას ადგეს და არა ჰღალატობდეს მის ანდერძსა, რათა კვლავ გაბრწყინდეს მისი სახე ისე, როგორც ბრწყინავდა მისის აღდგომის განდიადის ჟამს.

ჩვენთანა არს ღმერთი!

პეტრე ყარაგიორგიევიჩი

ჟენევა, 1 იანვარს 1886 წ.

აი ეს არის ის პროკლამაცია, რომელმაც ათასი ჭორი დაჰბადა, ათასი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ერთმა ინგლისელმა გაზეთმა პირ-და-პირ რუსეთს მიაწერა ამ პროკლამაციის შედგენა. ავსტრიელი გაზეთები ხომ თავს იკლავენ ამ პროკლამაციის გამო. რასაკვირველია, ავსტრიელებს ის შიში აწუხებთ, რომ სერბია მილანს არ გამოსწირონ და თავიანთი გავლენა არ დაჰკარგონ სერბიაზე. რუსეთისთვის-კი, უნდა კაცმა სთქვას, სასიამოვნო იქნება, თუ პეტრე ყარაგიორგიევიჩმა გაიმარჯვა, რადგან პეტრე ყარაგიორგიევიჩიც და მისი სიმამრი ჩერნოგორიის მთავარი ნიკოლოზიც რუსეთის მომხრენი არიან. კაროლმა მილანმა დღეს ყველაფერი ეს უკვე იცისო და თვით შემთქმელთა სახელებიც-კი ანუსხული აქვსო.

დეპეშა

15 თებერვალს

სტამბოლი. ახალმა ელჩმა ინგლისისამ ტორნტონმა აუწყა ოსმალეთს, რომ ინგლისს უნდა ოსმალეთი ხელ-შეუხებელი იყოს და თავს დაანებებს ეგვიპტეს, რაკი ეს მხარე დამშვიდდება.

სოფია. რადგან საფიქრებელია რომ მშვიდობიანობა ჩამოვარდებაო, ნება მიუციათ პურის სამზღვარ გარედ გატანისა.

16 თებერვალი

ბელგრადი. ხმა არის, რომ დიდთა სახელმწიფოთა მოუნდომებიათ ბოლგარიისა და სერბიის მორიგების საქმე სახელმწიფოთა კომისიას მიენდოსო. სურსათისა და ჯარის

სხვა საჭიროებათა იჯარით გაცემა შეაჩერესო.

ათინა. რადგან დიდნი სახელმწიფონი სასტიკად იქცევიანო, სამინისტრომ გადასწყვიტა სამსახურიდამ გადასდგესო.

პარიჟი. დეკაზვილის სამუშაო მღვიმეებში ხელ-მეორედ ზარი შეუკრავთ მეშებს, ნუღარ ვიმუშავებთო. მუშები თხოულობენ, ინჟინერი დაითხოვეთ და სამუშაო ფასი მოგვიმატეთო. ამ საქმის გამო ჯარი დაუბარებიათ.

ბირმინგამი. გარეშემო კვლავ დაიწყეს ქარხნების მუშებმა მღელვარება. თავი მოიყარეს და ბირმინგამისკენ გასწიეს, მაგრამ პოლიციის ძლიერმა რაზმმა გაფანტა ეს ბრბო მუშებისა.

◆

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 თებერვალს, დიდ-მარხვა — 23 თებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

18 დღე სამშაბათი. ლეონ პაპისა, აღაპიტე ეპისკოპ. სომ. წმ. ღევანდიანთ მღვდელთა. კათ. სვიმონ ეპისკ. მუსულმ. 27 დღე თვისა ჯემად-ულ-ევველ, 1303 ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—12—18. ტფილისში მზე ამოდის 6—34; ჩადის 5—51; მთვარე ამოდის 4—38 ნღ; ჩადის 2—33.

19 დღე ოთხშაბათი. წმ. მოც. არხიპ, ფილიმონ. სომეხ. მარხვაა. კათ. კონრადისა.

დაწესდა რჩევა ამიერ კავკასიის მთავარ-სამმართველოსი 1838 წ. შემოიღეს: ახალი წესები სასამართლოსი და ახალი ადმინისტრატიური განაწილება. დაწესდა განჯის გუბერნია 1872 წ. ბატონ-ყმობისაგან გაანთავისუფლეს აფხაზეთის გლეხობა 1871 წ.

ჭეშმარიტი შუადღე 12—12—5. ტფილისში მზე ამოდის 6—32; ჩადის 5—53. მთვარე ამოდის 5—15 ნღ., ჩადის 3—28.

20 დღე ხუთშაბათი. ლეონ ეპისკ. კატანელისა, აღათონ პაპისა. სომ. ვარდნიან მხედართ-მთავართა. 1036 მოწამეთა. კათ. სილვანისა.

ქუთაისის მკვიდრთა ფიცი დასდეს რუსეთის ქვეშევრდომობაზედ 1810 წ.

ჭეშმარიტი შუადღე 12—11—52. ტფილისში მზე ამოდის 6—30; ჩადის 5—54. მთვარე ამოდის 5—49 ნღ. ჩადის 4—24.

21 დღე პარასკევი. ღირ. ტიმოთესი, ევსტატე არხიეპ. კათ. ელეონორასი. ჭეშმარიტი შუადღე 12—11—39. ტფილისში მზე ამოდის 6—28; ჩადის 5—55. მთვარე ამოდის 6—20; ჩადის 5—21.

22 დღე შაბათი. პოვნა ნაწილთა წმ. მოწ. ევგენისა შინა წამებულთა. სომ. კონსტანტინეპოლის წმ. კრებისა 150 მამა-მთავართა. კათ. წმ. პეტრეს კათედრასი ანტიოქიაში. მუსულმ. 1 დღე თვისა ჯემად-ულ-ასირ 1303 ჰიჯრისა. შობა მთვარისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—11—25. ტფილისში მზე ამოდის 6—26; ჩადის 5—57. მთვარე ამოდის 6—48. ჩადის 6—18 ღ.

23 დღე კვირა. დიდი ალების-ღამე. წმ. პოლიკარპ. ეპისკ. სმირნისა. სომ. დიდი ალების-ღამე. კათ. რომანოზისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—11—20. ტფილისში მზე ამოდის 6—25; ჩადის 5—59. მთვარე ამოდის 7—15; ჩადის 7—20 ნღ.

24 დღე ორშაბათი. პირველი დღე დიდ-მარხვისა. პოვნა თავისა წმ. იოანე წინა-მორბედისა. კათ. მათიასი და ვიტალდისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—10—55. ტფილისში მზე ამოდის 6—23; ჩადის 6—0. მთვარე ამოდის 7—47; ჩადის 8—15 ღ.

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 თებერვლიდამ 1-ლ მარტამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. სა.	2¼ ,
» » 2 »	2 ,
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4½ ,
მე-2 ხარისხისა	3 ,
მე-3 —	2½ ,
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 ,
2 —	7 ,
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 ,
ცხვრის ხორცი	8 ,
ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ.	6 ,
2-ის ხარისხ.	5 ,

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და ქერჩში შევლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. სალამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით სალამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. დ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. დ.
ბაქოდამ მოდის — — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 სად.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 სად.

განცხადებანი

ახლად გახსნილს წერეთლის წიგნის მაღაზიაში ხონში, ფოსტის პირდაპირ ისყიდება ყოველ-გვარი ქართული წიგნები, ქართული და რუსული სახელმძღვანელოები და კანცელარიის ყველა საჭიროებანი. ადრესი: ხონი. წიგნის მაღაზია წერეთლისა.

(3—1)

გრ. ჩარკვიანის
ქართულის წიგნის მაღაზიაში
ისყიდება
ქილილა და დამანა
თარგმანი მეფე ვახტანგისაგან
ფასი სამი მანათი.
3—2

საქართველოს ეპარქიის სამზრუნველო გლახაკთათვის სასულიერო წოდებისა ამით აცხადებს, რომ საფასითა მისითა დაიბეჭდა და გამოიცა სამ-ნაწილოვანი წიგნი «სასწავლებელი კეთილ-მსახურებისა», თარგმნილი რუსულიდგან ქართულად აზხაზეთის დეკანოზის, დავით მაჭავარიანისაგან, სასარგებლო ობოლთა და ქვრივთა, სასულიერო წოდებისათა, და ისყიდება ერთად სამი ნაწილი ცხრამეტ შაურად და ერთ კაპეიკად. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ამავე სამზრუნველოს მდივანს, ბ-ნ ჩიტაძეს, სადაგს დღეებში დილით ცხრა საათიდგან, პირველ საათამდინ. სადგურსა შინა სინოდალნის კანტორისა.

წევრი სამზრუნველოისა
არხიმანდრიტი მაკარი

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

დაიბეჭდა **ქილილა და დამანა** მეფის ვახტანგ VI-სა თ. გრიგოლ გურიელის გამოცემა ილია ჭყონიას რედაქციით. ფასი სამი მანეთი. საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23 ისყიდება ტფილისის წიგნთა მაღაზიებში: გრიქუროვისაში, შავერდოვისაში, ჩარკვიანისაში და ცენტრალნი მაღაზიაში. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას წიგნზედ დაეთმობა ათი შაური.

10—2

სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფებოდა ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ქაშუეთის ეკკლესიის შენობაში, გადავიდა საპერნის ქუჩაზე, მთავარ-მმართებლის თანაშემწის სახლის გვერდზედ ალექსანდროვის ბაღთან, თავის საკუთარს სახლებში, № 4.

იღებს ყოველ-გვარს საბეჭდავს საქმეებს სხვა და სხვა ენებზედ. ფასი ზომიერი; შეკვეთილი საქმე სუფთად და ვადაზედ ჰბარდება შემკვეთელს. ქალაქ გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ამ ადრესით მომმართონ: *Тифлисъ, Типографію Еф. Ив. Хеладзе на Саперной улицѣ въ собственномъ домѣ.*

საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი
„ივერია“
1886 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით	10 მ. — კ.	6 თვით	6 მ. — კ.
11 »	9 » 50	5 »	5 » 25 „
10 »	8 » 75 »	4 »	4 » 75 „
9 »	8 » — »	3 »	3 » 50 „
8 »	7 » 25 »	2 ,	2 » 75 „
7 »	6 » 50 »	1 »	1 » 50 „

სამზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მანათად.
ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Въ редакцію газеты «ИВЕРІЯ.»

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში — ერთი მანათი.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში, შავერდოვის საგაზეთოში, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელ-ნაწერები, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.
პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქმნება ყოველ-დღე პირველ საათიდამ სამს საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозволено цензурою Тифлисъ 17 февраля 1886 года   ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა საპერნის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში.   რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.